საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1000-02
18/04/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 აპრილის N5593-35 და 2019 წლის 11 აპრილის N5796-35 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ,,გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესები და პროცედურები უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის“ ამ ბრძანების პირველი დანართის სახით.
2. დამტკიცდეს მობილობის დროს განხორციელებული აქტივობების ანგარიშის ფორმა ამ ბრძანების მეორე დანართის სახით.
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს,ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, განვითარების სამსახურს, საგარეო ურთიერთბების სამსახურს, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურს, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, ყველა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი